

ლიზინგის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

ტერმინთა განმარტება

- **სტანდარტული პირობები** - წინამდებარე დოკუმენტი, რომლითაც რეგულირდება **ლიზინგთან** დაკავშირებული სტანდარტული პირობები, რომელიც გამიზნულია მრავალჯერადი გამოყენებისათვის და რომელიც წარმოადგენს **მხარეთა** მიერ ხელმოწერილი **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს.
- **ხელშეკრულება - მხარეთა** მიერ ხელმოწერილი ლიზინგის ხელშეკრულება, **სტანდარტული პირობები** და მომავალში გაფორმებული დამატებითი შეთანხმებები ერთობლივად.
- **გრაფიკი** – **ხელშეკრულებით** განსაზღვრული გრაფიკი, რომლითაც განისაზღვრება **გამოსყიდვის ფასის, ლიზინგის ფასის** და სხვა გადასახდელების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის დეტალური პირობები.
- **ლიზინგის მიმღები** – პირი, რომლის სახელწოდება და სხვა სახის საიდენტიფიკაციო მონაცემები მოცემულია **მხარეთა** მიერ ხელმოწერილ **ხელშეკრულებაში**.
- **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.
- **ლიზინგი** – ურთიერთობა **ლიზინგის გამცემსა** და **ლიზინგის მიმღებს** შორის, რომლის ფარგლებშიც **ლიზინგის გამცემი** შეიძენს **ლიზინგის მიმღების** მიერ განსაზღვრულ **ლიზინგის საგანს**, მის მიერ მითითებული **მიმწოდებლისაგან** და სარგებლობაში გადასცემს **ლიზინგის მიმღებს** **ლიზინგის საგანს**, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვადით. **ლიზინგის მიმღების** მიერ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული გადასახდელების სრულად გადახდის შემდეგ, **ლიზინგის საგანზე** საკუთრების უფლება გადაეცემა **ლიზინგის მიმღებს**.
- **ლიზინგის საგნის მიწოდების ხელშეკრულება** – სამხრივი ხელშეკრულება **ლიზინგის გამცემს**, **ლიზინგის მიმღებსა** და **მიმწოდებელს** შორის, რომლის საფუძველზეც **ლიზინგის გამცემის** მიერ **მიმწოდებლისაგან** ხდება **ლიზინგის საგნის** შეძენა. ამასთან, თუ **ლიზინგის მიმღები** და **მიმწოდებელი** ერთი და იგივე პირია, აღნიშნული ხელშეკრულება **მხარეთა** შორის არ გაფორმდება.
- **მიმწოდებელი** – პირი, რომლისგანაც **ლიზინგის გამცემის** მიერ ხდება **ლიზინგის საგნის** შეძენა. ამასთან, **მიმწოდებელი** შეიძლება იყოს თავად **ლიზინგის მიმღებიც**.
- **მესამე პირი** – ნებისმიერი პირი გარდა **ლიზინგის გამცემის, ლიზინგის მიმღებისა** და **მიმწოდებლისა**, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **ლიზინგის მიმღები** და **მიმწოდებელი** ერთი და იგივე პირია.
- **ლიზინგის გამცემი** - პირი, რომლის სახელწოდება და სხვა სახის საიდენტიფიკაციო მონაცემები მოცემულია **მხარეთა** მიერ ხელმოწერილ ლიზინგის ხელშეკრულებაში.
- **მხარე/მხარეები** – **ლიზინგის გამცემი** ან/და **ლიზინგის მიმღები** (კონტექსტის შესაბამისად).
- **ლიზინგის საგანი** - **ხელშეკრულების** საფუძველზე, **ლიზინგის გამცემის** მიერ **ლიზინგის მიმღებისათვის** **ლიზინგით** გადასაცემი ავტოსატრანსპორტო საშუალება.
- **ლიზინგის საგნის ღირებულება** - თანხა, რომელსაც **ლიზინგის გამცემი** უხდის **მიმწოდებელს**, **ლიზინგის საგნის** შესაძენად და რომელიც განისაზღვრება **ლიზინგის საგნის მიწოდების ხელშეკრულებით**.

- **გამოსყიდვის ფასი** - თანხა, რომელიც **ლიზინგის მიმღებმა** უნდა გადაიხადოს **ლიზინგის საგნის** გამოსყიდვისათვის, რომელიც შედის **ლიზინგის საგნის ღირებულებაში** და რომელიც დაყოფილია **გრაფიკის** მიხედვით ყოველთვიურად გადასახდელ **გამოსყიდვის ფასის ნაწილის გადასახდელებად**.
 - **ლიზინგის ფასი** - **ლიზინგის მიმღების** მიერ, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვადის განმავლობაში, **ლიზინგის საგნით** სარგებლობის სანაცვლოდ, **ლიზინგის გამცემისათვის** გადასახდელი თანხა, რომელიც დაყოფილია ყოველთვიურად გადასახდელ **სალიზინგო გადასახდელებში**, **გრაფიკის** შესაბამისად. **ლიზინგის ფასი** შესაძლოა გამოიხატოს **გამოსყიდვის ფასის** პროცენტებში.
 - **სამუშაო დღე** – დღე, შაბათის, კვირის და **კანონმდებლობით** განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა.
 - **ყოველთვიური შენატანი** - **ლიზინგის მიმღების** მიერ **გრაფიკის** შესაბამისად, ყოველთვიურად გადასახდელი თანხა, რომელიც მათ შორის მოიცავს **გამოსყიდვის ფასის ნაწილის გადასახდელებსა და სალიზინგო გადასახდელებს**.
 - **პირადი კაბინეტი** - **ლიზინგის გამცემის** ვებ-გვერდზე განთავსებული დამოუკიდებელი ვებ-სერვისი, რომელიც მიწოდება **ლიზინგის მიმღებს** და რომელზეც რეგისტრაციის შემდეგ **ლიზინგის მიმღებს** საშუალება ექნება მიიღოს **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული ინფორმაცია. **ლიზინგის მიმღების** პირად კაბინეტთან წვდომა აქვთ მხოლოდ **ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს**.
1. **ხელშეკრულების არსი და ლიზინგით სარგებლობის ფინანსური პირობები**
 - 1.1. **ხელშეკრულების** საფუძველზე, **ლიზინგის გამცემი** შეიძენს **ლიზინგის მიმღების** მიერ განსაზღვრულ **ლიზინგის საგანს**, **ლიზინგის მიმღების** მიერ მითითებული **მიმწოდებლისაგან** და გადასცემს მას სარგებლობაში **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვადით, ხოლო **ლიზინგის მიმღები** იღებს ვალდებულებას გადაუხადოს **ლიზინგის გამცემს ხელშეკრულებით** განსაზღვრული გადასახდელები. **ლიზინგის მიმღების** მიერ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული გადასახდელების სრულად გადახდის შემდეგ, **ლიზინგის საგანზე** საკუთრების უფლება გადაეცემა **ლიზინგის მიმღებს**.
 - 1.2. **ხელშეკრულების** ფარგლებში **მხარეთა** შორის ანგარიშსწორება, უნაღდო ფორმით, **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ შესაბამისი **მხარის** საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, მოხდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის შესაბამისად.
 - 1.3. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულების** გაფორმების შემდეგ, **ლიზინგის გამცემს** ნებისმიერ მიზეზით (მათ შორის, **ლიზინგის საგნის მიწოდების ხელშეკრულებით** განსაზღვრული ფასის ცვლილება, **ლიზინგის საგნის** ტრანსპორტირების, განბაჟების ან/და **კანონმდებლობით**, მათ შორის უცხოური კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადების დაწესება/ცვლილება, **ლიზინგის საგნის** დაზიანება ან/და გაუთვალისწინებელი ნაკლის/ზიანის აღმოჩენა და მისი შეკეთება და ა.შ.) გაეზარდა **ლიზინგის საგნის** შეძენის ან/და სხვაგვარად მიღების ან/და **ლიზინგის მიმღებისათვის** გადაცემის ხარჯები, შესაბამისი მოცულობით გაიზრდება **გამოსყიდვის ფასიც და ლიზინგის მიმღების** გადაწყვეტილების შესაბამისად: ა) თანხა, რომლითაც გაიზარდა **გამოსყიდვის ფასი**, თანაბარი პროპორციით გადანაწილდება **ყოველთვიურ შენატანებზე**; ან ბ) **ლიზინგის მიმღები** სრულად გადაუხდის **ლიზინგის გამცემს** თანხას, რომლითაც გაიზარდა **გამოსყიდვის ფასი**, მოთხოვნიდან 3 (სამი) **სამუშაო დღის** ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული გარემოებების დადგომის შედეგად შემცირდება **ლიზინგის საგნის** შეძენის ან/და სხვაგვარად მიღების ან/და **ლიზინგის მიმღებისათვის**

გადაცემის ხარჯები, შესაბამისი მოცულობით შემცირდება **გამოსყიდვის ფასიც**, რა დროსაც **ლიზინგის გამცემის** გადაწყვეტილების შესაბამისად: ა) **ლიზინგის გამცემი** სრულად ან ნაწილობრივ დაუბრუნებს **ლიზინგის მიმღებს** იმ თანხას, რომლითაც გაიზარდა **გამოსყიდვის ფასი**; ან ბ) ა) **ყოველთვიურ შენატანები** შემცირდება შესაბამისი თანხით და პროპორციით. ამასთან, იმისათვის, რომ აღნიშნული ცვლილება აისახოს **გრაფიკში**, **ლიზინგის მიმღები** ვალდებულია **ლიზინგის გამცემის** მოთხოვნის შეთხვევაში ხელი მოაწეროს შეცვლილ **გრაფიკს**, თუმცა **ლიზინგის მიმღების** მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა არ ხდის სადავოს **გამოსყიდვის ფასის** ცვლილებას და **ლიზინგის მიმღები** ვალდებული იქნება გადაიხადოს გაზრდილი **გამოსყიდვის ფასი** **ლიზინგის გამცემის** შეტყობინებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

- 1.4. მიუხედავად **გრაფიკით** განსაზღვრული გადახდის პირობებისა, **ლიზინგის მიმღები** ვალდებულია პირველად ვადაში გადაიხადოს **ლიზინგის საგნით** სარგებლობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ჯარიმები, მიუხედავად იმისა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტს წარმოადგენს **ლიზინგის მიმღები** თუ **ლიზინგის გამცემი**. ამასთან, **ლიზინგის გამცემი** უფლებამოსილია თავად გადაიხადოს აღნიშნული ჯარიმები და თანხის ანაზღაურება სრულად მოსთხოვოს **ლიზინგის მიმღებს**, ხოლო **ლიზინგის მიმღები** თავის მხრივ ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს **ლიზინგის გამცემს** გადახდილი თანხა, **გრაფიკით** განსაზღვრულ უახლოეს **ყოველთვიურ შენატანთან** ერთად. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, **მხარეები** ადასტურებენ, რომ: ა) **ლიზინგის გამცემი** არ არის ვალდებული თავად გადაიხადოს აღნიშნული ჯარიმები მაშინაც კი, თუ აღნიშნული ჯარიმების გადაუხდელობა დაამძიმებს **ლიზინგის მიმღების** ან/და **ლიზინგის გამცემის** ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას; ბ) **ლიზინგის გამცემი** თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შეატყობინებს **ლიზინგის მიმღებს** ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ შესაბამისი ქვითრის/ოქმის/შეტყობინების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, რის შემდგომაც **ლიზინგის მიმღები** იღებს ვალდებულებას გადაიხადოს აღნიშნული ჯარიმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ შეტყობინების (SMS) მიღებიდან 20 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში **ლიზინგის გამცემი** იტოვებს უფლებას გადაიხადოს ჯარიმა და დააკისროს **ლიზინგის გამცემს** დამატებითი გადასახადი 20 (ოცი) ლარი ყოველ გადახდილ ჯარიმაზე; გ) **ლიზინგის გამცემის** „ბ“ ქვე-პუნქტით განსაზღვრული დანაწესი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე არის უფლება და არა ვალდებულება; დ) **ლიზინგის მიმღების** მიერ აღნიშნული ჯარიმების დროულად გადაუხდელობა ან/და გადახდილი ჯარიმის ანდა დამატებითი გადასახადის თანხის ანაზღაურების ვადის გადაცილება წარმოადგენს **ხელშეკრულების** უხემ დარღვევას;
- 1.5. **ლიზინგის მიმღების** მიერ გადახდილი ნებისმიერი თანხა ჩაითვლება ჯეროვნად გადახდილად, თუ ისინი გადახდილია **ხელშეკრულებითა** და **გრაფიკით** დადგენილ თარიღში, ხოლო თუ გადახდის თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ გადახდა უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს მომდევნო **სამუშაო დღისა**, წინააღმდეგ შემთხვევაში, არასამუშაო დღეს ნებისმიერ დროს განხორციელებული გადახდები აღირიცხება მომდევნო **სამუშაო დღეს**. **ხელშეკრულების** მიზნებისთვის გადახდაში იგულისხმება შესაბამისი თანხის ასახვის მომენტი **ლიზინგის გამცემის** საბანკო ანგარიშზე.
- 1.6. **ლიზინგის მიმღები** ვალდებულია გადახდის დანიშნულებაში მიუთითოს **ხელშეკრულების** ნომერი სრულყოფილად, როგორც ეს მითითებული **ხელშეკრულებაში**, წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიერ განხორციელებული გადახდები არ მიიჩნევა ჯეროვნად გადახდილად, ვიდრე **ლიზინგის გამცემის** მიერ არ მოხდება შესაბამისობის დადგენა განხორციელებულ გადახდასა და **ხელშეკრულებას** შორის.

- 1.7. **ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის გამცემის წინაშე არსებული ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, პირველ რიგში იფარება ადმინისტრაციული ჯარიმები, დარიცხული ჯარიმა, კანონმდებლობით განსაზღვრული ქონების გადასახადი, დარიცხული მომსახურების საკომისიოები და სხვა სახის გადასახდელები, შემდეგ სალიზინგო გადასახდელები და ბოლოს გამოსყიდვის ფასის ნაწილის გადასახდელები.**
- 1.8. **გამოსყიდვის ფასის (ან მისი ნაწილის) ვადაზე ადრე დაფარვის სურვილის შემთხვევაში, ლიზინგის მიმღები ვალდებულია არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე წერილობით (მათ შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) გააფრთხილოს ლიზინგის გამცემი. აღნიშნული ვადის ათვლა დაიწყება ლიზინგის გამცემის მიერ შესაბამისი წერილობითი განცხადების მიღების მომენტიდან. ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია მიიღოს შემოთავაზებული ვადაზე ადრე დაფარვა მითითებული ვადის გავლამდე. ამასთან, გამოსყიდვის ფასის (ან მისი ნაწილის) ვადაზე ადრე დაფარვამდე, ლიზინგის მიმღები ვალდებულია სრულად გადაიხადოს ადმინისტრაციული ჯარიმები, დარიცხული ჯარიმა, კანონმდებლობით განსაზღვრული ქონების გადასახადი, სხვა გადასახდელები, რაც დარიცხული იქნება გამოსყიდვის ფასის ვადაზე ადრე დაფარვის დღისთვის. გამოსყიდვის ფასის ან მისი ნაწილის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, ვალდებულებების დაფარვა მოხდება სტანდარტული პირობების 1.6. და 1.7 პუნქტებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით.**
2. **ლიზინგის მიმღები ადასტურებს, რომ:**
- 2.1. **ლიზინგის საგნის ან/და მიმწოდებლის შერჩევაში ლიზინგის გამცემს არ მიუღია რაიმე სახის მონაწილეობა და მათი შერჩევა მოხდა უშუალოდ ლიზინგის მიმღების მიერ.**
- 2.2. **ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგნის შეძენა მოხდა/უნდა მოხდეს ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგით გადასაცემად.**
3. **მხარეები თანხმდებიან, რომ:**
- 3.1. **ლიზინგის მიმღებს არ აქვს უფლება, ლიზინგის გამცემის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე შეთანხმდეს მიმწოდებელთან ლიზინგის საგნის მიწოდების ხელშეკრულების რაიმე პირობის შეცვლაზე, შეწყვეტაზე ან მოშლაზე, მიუხედავად იმისა, ლიზინგის საგნის მიწოდების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ლიზინგის გამცემის უფლებები დათმობილია თუ არა ლიზინგის მიმღებისათვის.**
- 3.2. **ლიზინგის საგანზე ლიზინგის გამცემის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან, ლიზინგის საგანი ითვლება ლიზინგის მიმღებისთვის გადაცემულად და ლიზინგის საგანთან დაკავშირებული ნებისმიერი რისკი (როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი) სრულად გადადის ლიზინგის მიმღებზე. ლიზინგის საგნის ლიზინგის გამცემის სახელზე რეგისტრაციის მომენტიდან, ლიზინგის საგანი ითვლება ლიზინგის მიმღებისთვის გადაცემულად და ლიზინგის საგანთან დაკავშირებული რისკები (როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი) სრულად გადადის ლიზინგის მიმღებზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ლიზინგის მიმღები ვალდებულია, ლიზინგის გამცემის მოთხოვნის შემთხვევაში გამოცხადდეს მითითებულ მისამართზე, მითითებულ ვადაში და ხელი მოაწეროს შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს. იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის მიმღები თავს არიდებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას, ეს არ მიიჩნევა ლიზინგის გამცემის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევად და ლიზინგის მიმღები არ თავისუფლდება ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისაგან.**

- 3.3. **ლიზინგის საგნის** მიწოდების პირობების დარღვევა ან/და **ლიზინგის საგნის** ხარისხთან დაკავშირებული პრეტენზიების არსებობა, არ ათავისუფლებს **ლიზინგის მიმღებს ხელშეკრულების** საფუძველზე **ლიზინგის გამცემის** წინაშე ნაკისრი ვალდებულებებისაგან. ამასთან, **ლიზინგის საგანთან** დაკავშირებით, რაიმე წუნის/ნაკლის აღმოჩენის ან/და ზოგადად **მიმწოდებლის** მიმართ რაიმე სახის პრეტენზიის წარმოშობის შემთხვევაში, ისევე როგორც **ლიზინგის საგნის** შემდგომი ნებისმიერი დაზიანების შესახებ, **ლიზინგის მიმღები** ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს **ლიზინგის გამცემს**.
- 3.4. **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში, **ლიზინგის მიმღების** მიერ **ლიზინგის საგნის** ნებისმიერი ფორმის გაუმჯობესება წარმოადგენს **ლიზინგის გამცემის** საკუთრებას და **ლიზინგის საგნის** ნებისმიერი მიზეზით **ლიზინგის გამცემის** მფლობელობაში გადასვლის შემთხვევაში, **ლიზინგის გამცემი** არ იქნება ვალდებული აუნაზღაუროს **ლიზინგის მიმღებს** **ლიზინგის საგნის** გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯები.
- 3.5. **ხელშეკრულების** გაფორმებიდან 3 (სამი) **სამუშაო დღის** ვადაში, **ლიზინგის მიმღები** ვალდებულია უზრუნველყოს **ლიზინგის საგანზე** **ლიზინგის გამცემის** საკუთრების უფლების რეგისტრაცია მომსახურების სააგენტოში და მიიღოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც უნდა გადაეცეს **ლიზინგის გამცემს** მათი მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) **სამუშაო დღის** ვადაში. **ლიზინგის საგანზე** **ლიზინგის მიმღების** საკუთრების უფლება მოპოვებულად ჩაითვლება, **ლიზინგის გამცემის** სახელზე შესაბამისი უფლების რეგისტრაციის მომენტიდან მომსახურების სააგენტოში. **ლიზინგის მიმღების** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების (მათ შორის **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ყველა ფინანსური ვალდებულების დაფარვის) შემდეგ, **ლიზინგის მიმღები** ვალდებულია 10 (ათი) **სამუშაო დღის** ვადაში, საკუთარ სახელზე დაირეგისტრიროს **ლიზინგის საგანზე** საკუთრების უფლება და აღნიშნული მიზნის მისაღწევად ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს და განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება. ამასთან, **ლიზინგის საგანზე** **ლიზინგის მიმღების** საკუთრების უფლების წარმოშობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის გადახდა სრულად ეკისრება **ლიზინგის მიმღებს**.
- 3.6. **ლიზინგის მიმღების** მოთხოვნის შემთხვევაში, **ლიზინგის გამცემის** მიერ რაიმე სახის ცნობის/წერილობითი დოკუმენტის გაცემის მომსახურების საფასური შეადგენს 10 (ათი) ლარს.
- 3.7. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში ძალაში შევა საგადასახადო დაბეგვრის ან მოსაკრებლების ისეთი რეჟიმი ან დადგება რაიმე ისეთი გარემოება, რაც **ლიზინგის გამცემს** დააკისრებს დამატებით გადასახდელებს ან შეამცირებს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ მისაღებ გადასახდელებს, **ლიზინგის გამცემი** უფლებამოსილია იქნება მოსთხოვოს **ლიზინგის მიმღებს** შესაბამისი სხვაობის ანაზღაურება, ხოლო **ლიზინგის მიმღები** ვალდებული იქნება სრულად დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) **სამუშაო დღის** ვადაში, თუ შესაბამისი შეტყობინებით სხვა პირობა არ იქნება განსაზღვრული.
- 3.8. **ლიზინგის მიმღების** მიერ მხარეებს შორის გაფორმებული **ლიზინგის ხელშეკრულების** რესტრუქტურირაციის შემთხვევაში, **ლიზინგის მიმღები** აცხადებს თანხმობას გადაიხადოს რესტრუქტურირაციის საფასური შემდეგი პირობებით: - ხელშეკრულების გრაფიკით განსაზღვრული გადახდის თარიღის ცვლილება - 40 ლარი; - ხელშეკრულების ვადის ცვლილება - არსებული ვალის ნაშთის 2%, მაგრამ არანაკლებ 40 ლარისა. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ ერთდროულად შეიცვლება **ხელშეკრულების** გრაფიკით განსაზღვრული გადახდის თარიღი და **ხელშეკრულების** ვადა საკომისიოს დარიცხვა მოხდება ზემოთ მითითებულ თითოეულ მომსახურებაზე ცალ-ცალკე.

- 3.9. **ლიზინგის მიმღების მიერ გამოსყიდვის ფასის** სრულად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში შეიცვლება **გრაფიკი**, თუმცა **მხარეთა** მიერ არ მოხდება მისი ხელმოწერა და **ლიზინგის გამცემი** მიაწოდებს **ლიზინგის მიმღებს** განახლებული **გრაფიკს**, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საკომუნიკაციო არხის მეშვეობით.
- 3.10. **ხელშეკრულებაში** ცვლილების შეტანა შესაძლოა განხორციელდეს ელექტრონულად, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საკომუნიკაციო არხის გამოყენებით. **ხელშეკრულების** ცვლილების მომსახურების საფასური განისაზღვრება **მხარეთა** შეთანხმებით, რაც არ უნდა შეადგენდეს 5 (ხუთ) ლარზე ნაკლებს თითოეული ცვლილებისთვის. ყოველი ცვლილება ძალაში შედის **ლიზინგის გამცემის** საბანკო ანგარიშზე აღნიშნული მომსახურების საფასურის ჩარიცხვის დღიდან, თუ უშუალოდ **ხელშეკრულების** ცვლილების ტექსტით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.
4. **ლიზინგის გამცემი** ვალდებულია:
- 4.1. **ლიზინგის მიმღების** წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) **სამუშაო დღის** ვადაში გადასცეს **ლიზინგის მიმღებს მიმწოდებლის** წინაშე **ლიზინგის საგნის მიწოდების ხელშეკრულებიდან** გამომდინარე უფლება-მოვალეობები.
5. **ლიზინგის გამცემი** უფლებამოსილია:
- 5.1. **ხელშეკრულების** მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, **ლიზინგის მიმღების** დამატებითი თანხმობის გარეშე, საკუთარი შეხედულებისამებრ, განკარგოს (მათ შორის, გაასხვისოს, გამოიყენოს უზრუნველყოფის საშუალებად და ა.შ.) **ლიზინგის საგანი** ან/და **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე უფლება-მოვალეობები სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს. ამასთან, **ლიზინგის გამცემის** მიერ **ლიზინგის საგნის** დაგირავების შემთხვევაში, **მხარეთა** შორის **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობა რჩება უცვლელი, ხოლო **ლიზინგის საგნის** გასხვისების შემთხვევაში, **ლიზინგის გამცემის** ადგილს დაიკავებს **ლიზინგის საგნის** შემძენი პირი.
- 5.2. ნებისმიერ დროს მოითხოვოს **ლიზინგის საგანზე** **ლიზინგის** უფლების რეგისტრაცია შესაბამის რეესტრში, **ლიზინგის მიმღების** ხარჯებით. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში, **ლიზინგის მიმღები** ვალდებულია უმოკლეს გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუმეტეს 5 (ხუთი) **სამუშაო დღისა** ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს და განახორციელოს ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად აუცილებელი ყველა ქმედება.
- 5.3. ნებისმიერ დროს, მოითხოვოს **ლიზინგის საგნის** შემოწმება და ამ მიზნით მოსთხოვოს **ლიზინგის მიმღებს** **ლიზინგის საგნის** წარმოდგენა **ლიზინგის გამცემის** მიერ განსაზღვრულ დროსა და ადგილზე, **ლიზინგის მიმღების** ხარჯზე.
- 5.4. ცალმხრივად განაცხადოს უარი **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, ან/და ვადაზე ადრე შეწყვიტოს **ლიზინგი**, იმ შემთხვევაშიც თუ:
- 5.4.1. **ლიზინგის გამცემისათვის** წარდგენილ დოკუმენტაციაში **ლიზინგის მიმღებმა** მიუთითა არასწორი ან არასრული ინფორმაცია (მათ შორის, საცხოვრებელი მისამართის, ელექტრონული ფოსტის, საკონტაქტო ტელეფონის ნომრის, **ლიზინგის საგნის** მდგომარეობის, ავტოსაგზაო შემთხვევების, **ლიზინგის საგნის** დაზიანების ან/და დამატებითი მოწყობილობების შესახებ).
- 5.4.2. **ლიზინგის მიმღების** ქმედების შედეგად, **ლიზინგის საგნის** ფაქტობრივი საბაზრო ღირებულება ნაკლები აღმოჩნდება დარჩენილ **გამოსყიდვის ფასზე** 10%-ზე მეტი ოდენობით და **ლიზინგის გამცემის** მხრიდან შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) **სამუშაო დღის** ვადაში **ლიზინგის მიმღები** არ აღადგენს **ლიზინგის საგანს** ისე, რომ მისი საბაზრო ღირებულება მისაღები გახდეს **ლიზინგის გამცემისათვის** ან/და ვადაზე ადრე არ დაფარავს

- გამოსყიდვის ფასის ნაწილს იმ ოდენობით, რომ დარჩენილი **გამოსყიდვის ფასი** არ აღემატებოდეს **ლიზინგის საგნის** საბაზრო ღირებულებას 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 5.4.3. თუ **ლიზინგის მიმღები** დაარღვევს **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული, **მხარეთა** შორის არსებული სხვა ნებისმიერი გარიგებით (როგორც წერილობითი, ისე სიტყვიერი) ნაკისრ ვალდებულებას.
- 5.4.4. **ლიზინგის მიმღები** დაარღვევს **ხელშეკრულებით** ნაკისრ რომელიმე ვალდებულებას, მათ შორის **გრაფიკით** განსაზღვრულ ვალდებულებას, ასევე, **სტანდარტული პირობების 1.2; 1.3; 1.4; 1.5; 1.6; 3.2; 3.3; 3.5; 3.7; 5.2; 5.3** ქვეპუნქტებით; მე-6 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრულ რომელიმე ვალდებულებას (რაც **მხარეთა** შეთანხმებით წარმოადგენს **ხელშეკრულების** მნიშვნელოვანი პირობების დარღვევას) და თუ აღნიშნული დარღვევა სრულად არ გამოსწორდება 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, **ხელშეკრულების** ვადაზე ადრე შეწყვეტამდე, **ლიზინგის გამცემი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **ლიზინგის მიმღებს** პირგასამტეხლოს გადახდა, დარჩენილი **გამოსყიდვის ფასის 0.27%-ის** ოდენობით ყოველდღიურად.
- 5.5. **ლიზინგის მიმღების** მიერ **სტანდარტული პირობების 3.5.** პუნქტით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მოსთხოვოს **ლიზინგის მიმღებს** ერთჯერადი პირგასამტეხლოს გადახდა, საწყისი (**ხელშეკრულების** გაფორმების მომენტისთვის არსებული) **გამოსყიდვის ფასის 5%-ის** ოდენობით.
- 5.6. ცალმხრივად, **ლიზინგის მიმღების** დამატებითი თანხმობის გარეშე შეცვალოს **სტანდარტული პირობების** ნებისმიერი პირობა, **ლიზინგის მიმღებისათვის** არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.
6. **ლიზინგის მიმღები** ვალდებულია:
- 6.1. სათანადოდ მოუაროს **ლიზინგის საგანს**, მათ შორის სრულად და ზედმიწევნით დაიცვას **მიმწოდებლის** (ან **ლიზინგის საგნის** მწარმოებლის) მიერ დადგენილი **ლიზინგის საგნით** სარგებლობის წესები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შეუნარჩუნოს მას ისეთივე მდგომარეობა, როგორშიც ჩაიბარა, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით (მათ შორის საგარანტიო და/ან ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად განახორციელოს ტექნიკური და საგარანტიო მომსახურება და რემონტი), არ განახორციელოს მისი რაიმე სახით მოდიფიცირება, გადაკეთება, ვიზუალური მხარის ან/და ფუნქციის ცვლილება. აღნიშნული პირობის დარღვევისათვის, **ლიზინგის საგნის** **ლიზინგის გამცემისათვის** დაბრუნების შემთხვევაში, **ლიზინგის მიმღები** ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს **ლიზინგის გამცემს** მიყენებული ზიანი. **ლიზინგის საგნის** ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში, მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა აღნიშნული ზიანის დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად.
- 6.2. **ლიზინგის საგნით** სარგებლობის სამართლებრივი უფლების (**მესამე პირთა** მხრიდან რაიმე სახის პრეტენზიის არსებობა და ა.შ.) ან ფაქტობრივი სარგებლობის შეზღუდვის (სრული ან ნაწილობრივი დაზიანება და ა.შ.) მიუხედავად, სრულად და ჯეროვნად შეასრულოს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები.
- 6.3. **ლიზინგის მიმღები** ვალდებულია, **ლიზინგის გამცემის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ განკარგოს (არ გადასცეს მფლობელობაში და სარგებლობაში **მესამე პირს**) **ლიზინგის საგანი**. ამასთან, **ლიზინგის გამცემის** წერილობითი თანხმობის საფუძველზე, **ლიზინგის მიმღების** მიერ **ლიზინგის საგნის** განკარგვა არ ათავისუფლებს **ლიზინგის მიმღებს** **ლიზინგის გამცემის** წინაშე არსებული ვალდებულებებისაგან.

- 6.4. დაუყოვნებლივ აცნობოს **ლიზინგის გამცემს** **ლიზინგის საგნის** ნებისმიერი სახის დაზიანების შესახებ ან/და თუ **ლიზინგის საგანთან** დაკავშირებით **მესამე პირი** განაცხადებს რაიმე სახის პრეტენზიას.
- 6.5. **ლიზინგის გამცემის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არ გაიტანოს **ლიზინგის საგანი** საქართველოს ტერიტორიიდან, ისევე როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ცხინვალის რეგიონში, კოდორის და პანკისის ხეობებში და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა ტერიტორიებზე.
- 6.6. **ხელშეკრულების** მოქმედების განმავლობაში შეინახოს ტექნიკური, საგარანტიო და **ლიზინგის საგანთან** დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, ხოლო მათი დაკარგვის/დაზიანების შემთხვევაში ვალდებულია მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა დოკუმენტების აღდგენისათვის.
- 6.7. საკუთარი ხარჯით განახორციელოს **ლიზინგის საგნის** ტექნიკური დათვალიერება **კანონმდებლობით** დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ საჯარო ქვითრის გამოწერის შემთხვევაში, **ლიზინგის** მიმღებს დაეკისრება ერთჯერადი ჯარიმა - 20 (ოცი) ლარის ოდენობით;.
- 6.8. სრულად აუნაზღაუროს **ლიზინგის გამცემს**, **ლიზინგის საგანთან** დაკავშირებული ქონების გადასახადი, **კანონმდებლობით** განსაზღვრული ოდენობითა და **ლიზინგის გამცემის** მიერ მოთხოვნილი პერიოდულობით.
- 6.9. დაუყოვნებლივ, თუმცა არაუგვიანეს 3 (სამი) **სამუშაო დღისა** აცნობოს **ლიზინგის გამცემს** შემდეგი გარემოებები:
- 6.9.1. თუ **ლიზინგის საგანი** დაზიანდა, განადგურდა, გაუჩინარდა, ჩამორთმეულია, დაკისრებულია რაიმე სახის ადმინისტრაციული ჯარიმა ან/და **მესამე პირი** განაცხადებს ნებისმიერი სახის პრეტენზიას **ლიზინგის საგანზე**.
- 6.9.2. თუ **ლიზინგის მიმღებმა** შეიცვალა სახელი, გვარი ან/და მისამართი.
- 6.9.3. თუ დაზიანდა ან დაიკარგა **ლიზინგის საგანთან** დაკავშირებული დოკუმენტაცია.
- 6.9.4. თუ **ლიზინგის მიმღების** წინააღმდეგ სასამართლოში მიმდინარებს გადახდისუუნარობის საქმე ან/და **ლიზინგის მიმღები** იმყოფება მოვალეთა რეესტრში.
7. **ლიზინგის მიმღები** უფლებამოსილია:
- 7.1. ვადაზე ადრე მოშალოს **ხელშეკრულება** მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **მიმწოდებელი** არანაკლებ 90 (ოთხმოდდათი) კალენდარული დღით დააგვიანებს **ლიზინგის საგნის** მიწოდებას **ლიზინგის გამცემისათვის**. ამასთან, **მიმწოდებლის** მიერ **ლიზინგის საგნის** მიწოდების ვადის დარღვევა, **ხელშეკრულების** მოშლამდე არ ათავისუფლებს **ლიზინგის მიმღებს** ვადამოსული **ყოველთვიური შენატანის** ან/და ნებისმიერი სხვა ფინანსური ვალდებულების შესრულებისაგან. ასევე, **ლიზინგის ხელშეკრულების** მოშლის შემთხვევაში, **ლიზინგის მიმღები** არ იქნება უფლებამოსილი მოსთხოვოს **ლიზინგის გამცემს ხელშეკრულების** მოშლამდე გადახდილი თანხის (ან მისი ნაწილის) უკან დაბრუნება.
8. **ლიზინგის გამცემის** მოთხოვნის შემთხვევაში, **ლიზინგის მიმღები** ვალდებულია:
- 8.1. **ლიზინგის გამცემის** მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთის არარსებობისას, **ლიზინგის გამცემის** მოთხოვნიდან 10 (ათი) **სამუშაო დღის** ვადაში დააზღვიოს ამავე მოთხოვნით განსაზღვრული სადაზღვევო შემთხვევები **ლიზინგის გამცემის** სასარგებლოდ (ანუ დაზღვევის ბენეფიციარს უნდა წარმოადგენდეს **ლიზინგის გამცემი**) ისე, რომ თუკი სხვაგვარად არ იქნა მოთხოვნილი **ლიზინგის გამცემის** მიერ: ა) სადაზღვევო ანაზღაურებით შესაძლებელი იყოს **ლიზინგის გამცემის** მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება, და ბ)

- დაზღვევის ერთჯერადი ან ჯამური ვადა არ უნდა იყოს **ლიზინგის გამცემის** მოთხოვნების მოქმედების ვადაზე ნაკლები. ამასთან, **ლიზინგის მიმღები** იღებს ვალდებულებას:
- 8.1.1. დაზღვევა განახორციელოს **ლიზინგის გამცემისათვის** მისაღებ, მაღალი რეპუტაციის მქონე სადაზღვევო კომპანიაში.
 - 8.1.2. დაზღვევის მომენტიდან 5 (ხუთი) **სამუშაო დღის** ვადაში დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტები წარუდგინოს **ლიზინგის გამცემს**.
 - 8.1.3. თუ დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის ერთჯერადი მოქმედების ვადა ნაკლებია **ლიზინგის გამცემის** მოთხოვნების მოქმედების ვადაზე, დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადის გასვლამდე არანაკლებ 10 (ათი) **სამუშაო დღით** ადრე წარუდგინოს **ლიზინგის გამცემს** დაზღვევის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტი განახლებული ვადით.
 - 8.1.4. დაიცვას დაზღვევის ხელშეკრულების პირობები, მათ შორის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს **ლიზინგის გამცემს** და სადაზღვევო კომპანიას, აგრეთვე, განახორციელოს ყველა ის ქმედება, რომელიც მოთხოვნილია სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო შემთხვევის ასანაზღაურებლად.
9. კონფიდენციალურობა და **ლიზინგის მიმღების** პერსონალური მონაცემების დამუშავება
- 9.1. **მხარეები** თანხმდებიან, რომ **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი სახის ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი **მესამე პირისათვის** სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა დაუშვებელია მეორე **მხარის** წინასწარი თანხმობის გარეშე. ამასთან, აღნიშნული შეზღუდვა არ ეხება ინფორმაციას:
 - 9.1.1. თუ უშუალოდ **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მისი გადაცემა შესაძლებელია **მესამე პირისთვის**.
 - 9.1.2. თუ ის ცნობილი იყო **მხარისათვის ხელშეკრულების** გაფორმებამდე, **კანონმდებლობის** მოთხოვნათა სრული დაცვით.
 - 9.1.3. რომლის **მესამე პირისათვის** გადაცემაც სავალდებულოა **კანონმდებლობით**.
 - 9.2. ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, **ლიზინგის გამცემი** უფლებამოსილია, **ლიზინგის მიმღების** დამატებითი თანხმობის გარეშე:
 - 9.2.1. სს „კრედიტიინფო საქართველოს“ ან/და ნებისმიერ, მსგავსი ფუნქციის მქონე პირს მისცეს თანხმობა, რომ მათ **ლიზინგის გამცემის** მიერ მიწოდებული ინფორმაცია მრავალჯერადად გადასცენ ისეთ **მესამე პირს**, რომელიც შესაბამისი გარიგების საფუძველზე თავადაც აწვდის სს „კრედიტიინფო საქართველოს“ ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირს აღნიშნულ ინფორმაციას, **კანონმდებლობით** განსაზღვრულ შემთხვევებში.
 - 9.2.2. სს „კრედიტიინფო საქართველოსგან“ ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე პირისგან მრავალჯერადად მოიძიოს **ლიზინგის მიმღების** შესახებ არსებული ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **ლიზინგის მიმღებს** გააჩნია აქტიური ვალდებულება **ლიზინგის გამცემის** წინაშე, გადახდისუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის.
 - 9.2.3. **ლიზინგის მიმღებისათვის** ნებისმიერი სახის მომსახურების შეთავაზების მიზნით, მრავალჯერადად გადაამოწმოს **ლიზინგის მიმღების** პერსონალური მონაცემები სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ ელექტრონულ ბაზაში, **კანონმდებლობით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
 - 9.2.4. **ლიზინგის მიმღების** შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს **მესამე პირს** (მათ შორის საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ **მესამე პირს**), თუ აღნიშნული გადაცემა აუცილებელია **ლიზინგის გამცემის** უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, **ლიზინგის გამცემის** მიერ **მესამე პირების** წინაშე სხვადასხვა

გარიგებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის, **ლიზინგის მიმღების** მიმართ არსებული რაიმე სახის მოთხოვნის **მესამე პირისათვის** დასათმობად (მათ შორის აღნიშნულ **მესამე პირთან** მოლაპარაკების პროცესში), **ლიზინგის მიმღების** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ან/და **ლიზინგის მიმღებისათვის** რაიმე სახის მომსახურების/პროდუქტის შეთავაზების ან/და რაიმე სახის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

10. კომუნიკაცია მხარეთა შორის
 - 10.1. **მხარეთა** შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობისთვის განსაზღვრულია წერილობითი ან/და ელექტრონული (მათ შორის ელექტრონული ფოსტა და SMS) ფორმა.
 - 10.2. შეტყობინება მიღებულად ითვლება ადრესატის მიერ შემდეგი პირობებით: ა) თუ შეტყობინების გაგზავნა ხდება ფოსტის მეშვეობით - გაგზავნიდან 3 (სამი) **სამუშაო დღის** შემდეგ; ბ) თუ შეტყობინების გაგზავნა ხდება ელექტრონული ფოსტის ან/და SMS-ის მეშვეობით - იმავე კალენდარულ დღეს. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ **მხარეს** შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ, ადრესატის მიერ მითითებულ ფაქტობრივ (საცხოვრებელ) მისამართზე შეტყობინების ადრესატის არარსებობის გამო ან/და თუ ადრესატი თავს აარიდებს შეტყობინების მიღებას.
 - 10.3. **მხარეები** ურთიერთობას განახორციელებენ **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ ფაქტობრივ და ელექტრონულ მისამართებზე. თითოეული **მხარე** ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე **მხარეს**, წინააღმდეგ შემთხვევაში, **მხარის** მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული კომუნიკაცია ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.
11. **ხელშეკრულების ვადაზე ადრე მოშლა და მისი შედეგები**
 - 11.1. **ლიზინგის გამცემის** მიერ **ხელშეკრულების** ვადაზე ადრე მოშლის შემთხვევაში, **ლიზინგის მიმღები** ვალდებულია დაუყოვნებლივ, თუმცა ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) **სამუშაო დღის** ვადაში გადასცეს **ლიზინგის საგანი** **ლიზინგის გამცემს**, რა დროსაც **ლიზინგის საგნის** დაბრუნებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი (მათ შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში - ადმინისტრაციული გადასახდელები, სახელმწიფო ბაჟი, სააღსრულებლო მოსაკრებელი, **ლიზინგის საგნის** ტრანსპორტირების საფასური, **ლიზინგის საგნის** განბაჟებასთან დაკავშირებული გადასახდელები და ა.შ.) სრულად ეკისრება **ლიზინგის მიმღებს**.
 - 11.2. **ლიზინგის მიმღები** ვალდებულია მკაცრად დაიცვას **ლიზინგის გამცემისაგან** მიღებული ინსტრუქციები **ლიზინგის საგნის** დაბრუნებასთან დაკავშირებით. **ლიზინგის საგნის** **ლიზინგის გამცემისათვის** დაბრუნება ხდება **ლიზინგის საგნის** მიღება-ჩაბარების (დაბრუნების) აქტის გაფორმების გზით, რომლის მიხედვითაც **ლიზინგის მიმღები** უბრუნებს **ლიზინგის საგანს** **ლიზინგის გამცემს**. **ლიზინგის საგნის** მიღება-ჩაბარების (დაბრუნების) აქტის ხელმოწერაზე უარის თქმის ან თავის არიდების შემთხვევაში, აგრეთვე **ლიზინგის გამცემის** მიერ **ლიზინგის საგნის** ამოღების შემთხვევაში, **ლიზინგის გამცემი** უფლებამოსილია შესაბამისი აქტი შეადგინოს ცალმხრივად ან და დამოუკიდებელი **მესამე პირის** მონაწილეობით.
 - 11.3. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულების** ვადაზე ადრე მოშლის შედეგად, **ლიზინგის გამცემის** მიერ მფლობელობაში დაბრუნებული **ლიზინგის საგანი** სრულად ვერ ფარავს **ლიზინგის მიმღების** ფინანსურ ვალდებულებას, **ლიზინგის გამცემი** უფლებამოსილია გადახდევინება მიაქციოს **ლიზინგის მიმღების** სხვა აქტივზე.

- 11.4. **ხელშეკრულება** შეწყვეტილად ითვლება **ლიზინგის მიმღების** მიერ **ლიზინგის გამცემის** მხრიდან **ხელშეკრულების** შეწყვეტაზე შესაბამისი შეტყობინების მიღების მომენტიდან.
- 11.5. **მხარეები** თანხმდებიან, რომ თუ **ლიზინგის მიმღები** უარს განაცხადებს ან თავს არიდებს **ლიზინგის საგნის** ნებაყოფლობით დაბრუნებას, **ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ შეტყობინებაში მითითებულ ვადაში, **ლიზინგის გამცემი** უფლებამოსილია, საკუთარი ძალებით დაიბრუნოს **ლიზინგის საგანი** (მიუხედავად იმისა, **ლიზინგის გამცემს** დაწყებული აქვს თუ არა **ლიზინგის საგნის** დაბრუნების პროცედურა, სასამართლო, სააღსრულებო ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსათვის მიმართვის გზით), როგორც **ლიზინგის საგნის** მფლობელმა, რათა თავიდან აიცილოს ან აღკვეთოს **ლიზინგის საგნის** უკანონო განკარგვა/მართვა.
- 11.6. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, **ლიზინგის მიმღები** აცნობიერებს და ადასტურებს, რომ მას ეკრძალება საკუთარი ან/და სხვისი (**მესამე პირის**) ნებისმიერი ქონების **ლიზინგის საგანში** დატოვება, ანდა მესამე პირისთვის ნივთის დატოვების უფლების მიცემა, ისევე როგორც **ლიზინგის საგანზე** რაიმე ქონების დამაგრება და აღნიშნულთან დაკავშირებით არ აქვს და არც მომავალში ექნება რაიმე სახის პრეტენზია. ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, **ლიზინგის გამცემი** თავისუფლდება ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობისგან რაც შეიძლება მოჰყვეს **ლიზინგის საგანში** სხვისი ქონების ანდა ნივთის დატოვება/დამაგრებას.
- 11.7. **ხელშეკრულების** ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, **ლიზინგის საგანი** **ლიზინგის მიმღებს** უნდა დაუბრუნდეს იმავე მდგომარეობაში, როგორშიც მოხდა მისი გადაცემა **ლიზინგის მიმღებისათვის**, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.
- 11.8. **ლიზინგის მიმღებისათვის** დაბრუნებულ **ლიზინგის საგანში** რაიმე ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, **ლიზინგის გამცემს** უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ მოითხოვოს **ლიზინგის მიმღებისაგან** ნაკლის აღმოფხვრა სრულად, რაც მოიცავს ნებისმიერი ნაწილის, აგრეგატის გამოცვლას, დამატებას ან მის აღმოსაფხვრელად საჭირო თანხის ანაზღაურებას. ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება **ლიზინგის გამცემის** გაანგარიშების საფუძველზე.
- 11.9. მხარეთა შეთანხმებით, მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 თვის განმავლობაში **ლიზინგის ხელშეკრულებით** დადგენილი ვალის გადახდის და **ლიზინგის ხელშეკრულების** შეწყვეტის შეტყობინებაში მითითებულ ვადაში **ლიზინგის საგნის** დაუბრუნებლობის შემთხვევაში, **ლიზინგის ხელშეკრულება** ჩაითვლება აღდგენილად და გაგრძელდება შესაბამისი გადასახადების და გადასახდელების დარიცხვა. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ აღნიშნული წარმოადგენს **ლიზინგის გამცემის** უფლებას და არა ვალდებულებას.
12. **პრეტენზიები და დავები**
- 12.1. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი სახის პრეტენზია **მხარეებმა** ერთმანეთს უნდა წაუყენონ ხელშეკრულებით განსაზღვრული საკომუნიკაციო ერთი ან რამდენიმე არხით. თუ პრეტენზიის მიმღებ მხარეს წარმოადგენს **ლიზინგის მიმღები**, იგი ვალდებულია მისი მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში (თუ აღნიშნული შეტყობინებით სხვა ვადა არ არის განსაზღვრული) სრულად დააკმაყოფილოს აღნიშნული პრეტენზია ან განაცხადოს მოტივირებული უარი მის დაკმაყოფილებაზე, ხოლო თუ პრეტენზიის მიმღებ მხარეს წარმოადგენს **ლიზინგის გამცემი**, იგი ვალდებულია მისი მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში სრულად დააკმაყოფილოს აღნიშნული პრეტენზია ან განაცხადოს მოტივირებული უარი მის დაკმაყოფილებაზე.

- 12.2. **ხელშეკრულების** ფარგლებში წამოჭრილი ნებისმიერი დავა, პირველ ეტაპზე წყდება მოლაპარაკებით. მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში ან/და თუ რომელიმე მხარე ჩათვლის, რომ მოლაპარაკების დაწყება იქნება უშედეგო, თითოეული მხარე უფლებამოსილია მოლაპარაკების გარეშე, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, **კანონმდებლობით** განსაზღვრული წესის შესაბამისად.
- 12.3. **მხარეები** თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, ლიზინგის გამცემის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.
13. **ცვლილებები და დამატებები**
- 13.1. **ლიზინგის გამცემი** უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს, **ვებ-გვერდზე** შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით ან/და **ლიზინგის გამცემისათვის** მისაღები სხვა ფორმით, თუ **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **ლიზინგის მიმღების** დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე, შეცვალოს **ხელშეკრულების** ან/და ნებისმიერი **პროდუქტის** ნებისმიერი პირობა (მათ შორის და არა მხოლოდ ნებისმიერი **პროდუქტის** მოცულობა, მოქმედების ვადა ან/და საპროცენტო განაკვეთის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს ან/და სხვა გადასახდელის მოცულობა/ოდენობა ან/და მათი დარიცხვის წესი ან/და გადახდის ვადა). ამგვარი ცვლილება სავალდებულოა **ლიზინგის მიმღებისათვის** მისი გამოქვეყნების დღის მომდევნო **საბანკო დღიდან**, თუ **ლიზინგის მიმღების** მიერ ან/და **კანონმდებლობით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
- 13.2. თუ **ხელშეკრულების** ცვლილება/დამატება ხორციელდება **ლიზინგის მიმღების** სასარგებლოდ, ან/და არ აუარესებს **ლიზინგის მიმღების** მდგომარეობას, ან/და ცვლილება/დამატება ეხება ახალ საგადახდო მომსახურებას ანდა ახალი პროდუქტის დანერგვას, რომელიც არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას, ლიზინგის გამცემი არ არის ვალდებული შეატყობინოს ლიზინგის მიმღებს ასეთი ცვლილების/დამატების შესახებ.
- 13.3. იმ შემთხვევაში თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვლილების/დამატების ძალაში შესვლამდე გათვალისწინებულია წინასწარ შეტყობინების ვადა, ნებისმიერი ასეთი ცვლილება/დამატება ჩაითვლება **ლიზინგის მიმღებთან** შეთანხმებულად, თუ **ლიზინგის მიმღები** შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში არ შეატყობინებს **ლიზინგის გამცემს** რომ არ ეთანხმება ცვლილებას/დამატებას.
- 13.4. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში **ლიზინგის მიმღები** უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება დაუყოვნებლივ, ხოლო **ლიზინგის მიმღების** მიერ ცვლილებაზე/დამატებაზე დაუთანხმებლობის შემთხვევაში **ლიზინგის გამცემი** უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ასეთი ცვლილების/დამატების ამოქმედების თარიღის შემდეგ ნებისმიერ დროს.
- 13.5. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ **ლიზინგის მიმღების** ინიციატივით, **ლიზინგის გამცემისადმი** ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მომართვის გზით, შეწყვეტის დღისთვის **ლიზინგის გამცემის** წინაშე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წარმოქმნილი ნებისმიერი გადასახდელი თანხის/დავალიანების სრულად დაფარვისა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების შესრულების/დაფარვის პირობით, **ლიზინგის გამცემი** შეწყვეტს ხელშეკრულებას; ხოლო **ლიზინგის მიმღებს** არ დაეკისრება დამატებითი გადასახდელის გადახდა, თუ ხელშეკრულებას ცალმხრივად წყვეტს **ლიზინგის მიმღების** მიერ ხელშეკრულების პირობების

იმგვარი ცვლილების გამო, რამაც გამოიწვია ლიზინგის ხელშეკრულებით აღებული პირობების გაუარესება.

- 13.6. ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წარმოადგენს ხელშეკრულების დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება

შპს „დიზი“ (მის: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N71, ოფისი N33, სართული 6, (ბლოკი N1)) შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).

მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.